

# კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაბზიანი ზაზითი. ზამოდის ქოხელ კვირა დღეს.

№ 45.

ოქტომბერი 30, 1894 წ.

№ 45.

**შინარსი:** თავ. ანტონ ლორთქიფანიძე. — ელენე დიმიტრის ასული ლორთქიფანიძისა ან. თ. წ. — ს. ანტონ ლორთქიფანიძის სასტოვართ, ლექსი სილოვან სა. — საურაღდებო ამბები. — ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელთა მოხსენება ქუთაისში. — ს. ანტონ ლორთქიფანიძის ნელსონი დ. — მიხეა ალექსანდრე მადონელის სასაფლაოსი ისე რაჭველისა. — ოზურგეთის საქალგმო შკოლის წარსული და მომავალი მეთოდურისი. — წმინდა შენაიკი, დედოფლა რანისა გ. წყნეთისა. — პარტუზი. მოთხრობა მტ. ნინო შვილისა. — ორეიტალიასტრა მე-5 საერთაშორისო კონგრესი ქ. ჟენევაში ნ. ქ. — ასია. — სახეწარო გასართობი: ეს ერთიც და კარა აგვისა. — განცხადებანი.

## † თ. ანტონ ლორთქიფანიძე

ეს კემზირიტება ძლიერ ნათლათ გამოხატა ამ შე-  
სანიშნავი იმერლის ცხოვრებაში.

**მ** დღეებში უდროოთ გამოვეცასლმა საუკუნოთ კარგათ ცნობილი იმერეთში თ. ანტონ ლორთქიფანიძე. მისი სიცილილო ყველას გულს დაწყვეტს, ვინც კი დაახლოვებით იცნობდა მის მახილო-გონებისს და მოსწრებულს სიტყვა პასუხს. ეს კაცი მართლაც დაბადებული იყო საზოგადო მოღვაწეობისათვის და თუ თავის მკვირცელი ნიჭის შესაფერა შედეგი არ ჰქონდა მის ცხოვრებას, ბრალი სასვებით ედება იმ ხელ-ფეხ-შემკერელს გარემოებას, რომლითაც მოცულია ჩვენი ცხოვრება. „კაცი გარემოების მოწაია“, ნათქვამია.



ნათლათ გამოხატა ამ შესანიშნავი იმერლის ცხოვრებაში. მდიდარმა იმერეთის ბუნებამ შობა ეს კაცი მდიდარი ნიჭიერებით შემკული ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის; მაგრამ მართლაც გარემოებამ არ დააცალა მას ამის შესრულება. ჩვენი ანტონი ძალიან საყვარელი კაცია, გამცოცხლებელი, შემექცევალი, ერთი სიტყვით ნამდვილი ჩვენებური დარბაისელი თავადიშვილია, კარგი ამხანაგი, კარგი ძმა, კარგი მეგობარია: — „გაისმოდა ყოველგან, საცა კი ანტონი თავისიანათ მიიჩნდათ. მიუცილებლათ ასეთს მკვირცელს და კარგ მოამხანაგე ბუნებას, აღერ თუ გვიან, იგდებდა ხელში ისეთი წრე, რომელსაც გარეგანი ბრწყინვალე დრო-

შა სამშობლო მოღვაწეობისა საქვეყნოთ აფერია-  
ლებია და ჩუმათ კი მხოლოთ საკუთარი კეთილ-  
მდგომარეობის ძიება ჰქონდა მხედველობაში. ან-  
ტონი შეიქნა ცხოვრებაში იარაღათ ასეთი თავის-  
მოკერძო პარტიისა.

თ. ანტონ ლორთქიფანიძე ვადაცვალა 47  
წლისა. მან დაასრულა კურსი ოდესის უნივერსიტე-  
ტში 1871 წლის გასულს, თუ არ ეცდებოთ. 1872  
წელს იმედებით საცეს ახალგაზრდა მძილო მონაწი-  
ლეობა თავის სამშობლო ქალაქის საქმეებში. ამ  
დროს ქუთაისის სცენის მოყვარეთა გამართეს წარ-  
მოდგენა; ითამაშეს გაყრა და ანტონმა თავისი მკვირ-  
ცხლი აზრით, ხელმოწერი თამაშით მიიქცია სა-  
ზოგადო ყურადღება. სწორეთ თ. ანტონ ლორთ-  
ქიფანიძე იყო მიზნები, რომ ქუთაისში ქართულმა  
წარმოდგენებმა საბოლოოთ ფეხი მოიმჯრეს. ცო-  
ტა ხანს შემდეგ ის ამოაჩივს ქალაქის დეპუტატთ  
და წინააღმდეგ იმდროის გუბერნიის მმართველის  
თვითმზებლობას. ამ დროს ქალაქის დეპუტატების  
დაეკითხებათ გაიყრა რამდენიმე ძვირფასი ნაჭერი  
მიწა. თ. ანტონ ლორთქიფანიძის მეთაურობით შე-  
დგა დეპუტატთა, რომელიც წარუდგა მაშინდელს  
კავკასიის სამოქალაქო გამგეობის უფროს ბარონ-  
ნიკოლაის და მახსენა ქუთაისის საქალაქო საქმე-  
ების ცუდი მდგომარეობა. დეპუტატთა იშუამდგომ-  
ლა, რომ ქუთაისსაც მინიჭებოდა ახალი საქალაქო  
თვით-გამგეობა. მთავრობამ კანონიერათ იცნო ეს  
თხოვნა და თანახმა გახდა. რადესაც ქუთაისის სა-  
დღილ-მამულთა ბანკის თაობაზე ძველი და ახალი

განათლებული თაობა ერთმანეთს შეგებნ, თ. ანტონ  
ლორთქიფანიძემ დაიჭირა ძველი განათლებული  
თაობის მხარე და საკამათო ბრძოლაში ნიჭიერათ  
ენმარებოდა თავის პარტიას. მაშინდელ „ღრუების“  
რედაქტორს წრებს თ. ანტონ ლორთქიფანიძე დიდ  
წინააღმდეგობას უწევდა; მაგრამ გაციდა შედიდ, რვა  
წელიწადი და თ. ანტონ ლორთქიფანიძემ იკრძნო  
თავის შეცდომა. ხშირათ უსაყვედურებდა ის თავის  
თავს, რატომ შევექენი იარაღათ სხვების პირადის  
ლტოლიელებისათა. ბოლოს ჟამს სასოება დაკარ-  
გული სრულებით ჩამოშორდა საზოგადო საქმეს და  
შეუდგა საკუთარ მამულების მართვას. ერთ საუკეთე-  
სო ნათელ ხანათ მ-ის საზოგადო მოღვაწეობისა  
უნდა აღინიშნოს ის დრო, როცა მან საჯარო წიგნთ-  
საკვები გამართა ქ. ქუთაისში და აღძრა ქუთაისის  
მოზარდს ანაღვანობაში კითხვისა და თვით-განე-  
თარების სურვილი. წელს თ. ანტონ ლორთქიფ-  
ანიძემ ნაშთი თავის საჯარო ბიბლიოთეკისა შეწირ-  
ა ქალაქს ქუთაისს, რომლის საქალაქო გამგეობამ  
მადლობა გამოუცხადა შექწირველს, ისარკებლა იმ  
ბიბლიოთეკით და შეუდგა ამ ბოლოს დროს უფრო  
ერცყლის საჯარო სამკითხველოს დაარსებას.

თ. ანტონ ლორთქიფანიძე ყოველთვის მკვირ-  
ცხლათ ადევნებდა თვალყურს ჩვენს საზოგადო წა-  
რმატებას და ამ ბოლოს დროს იმედს არ ჰკარგე-  
და ისეც დაბრუნებოდა საზოგადოებრივს მოღვაწე-  
ობას; მაგრამ უღიმობელმა სიკვდილმა არ დააცალა  
იმას კეთილშობილური ღტოლიელების განზორციე-  
ლება.

† ელენე დიმიტრის ასული ლორთქიფანიძისა

**ე**ლენე ისეთი იშვიათია საზოგადო ასპარეზზე  
მოღვაწეთ გამოსული ქართველი ქალი, რომ  
მისი დაკარგვა ნამდვილათ დიდი დაკლებაა  
საზოგადოებისათვის. აგერ ოთხი წელიწადი სრულ-  
დება, რაც ვადაცვალა ერთი ჩვენი საუკეთესო ქა-  
ნთავანი ელენე ლორთქიფანიძისა, ნეტარ ხსენებუ-  
ლი დიმიტრი ყიფიანის ასული და აქამდას ჩვენდა  
სამწუხაროთ არა თქმულა რა ჩვენს ჟურნალში.

მე, როგორც ერთი მისი მეგობართავანი, ემი-  
შობდი, რომ მეტუ ღირსება არ მამეთვისებია ვან-  
სენენებულისათვის. ალა თუმცა დიდი ხანი გავიდა  
მას აქეთ, რაც ელენე დიმიტრის ასული მოკვდა  
ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ მისი გულმხურ-  
ვალი თანაგრძნობა ყოველის დაჩაგრულისა

ვანუსხლერელი სიყვარული სამშობლოსადმი, რო-  
მელიც ნათლათ გამოიხატებოდა მის ვადაშ-  
ლილ დიდ შუბლზე და გრძნობით საცეს პი-  
რისხსებზე, აქამდის არავის დაეწვებია. ის იყო ღირ-  
სეული ასული ღირსეულის მამისა, საკუთრათ მის-  
გან ვაზილით. უთუოთ ბევრს უნახავს ამ ოცდაექ-  
სი წლის წინეთ ქალაქ დიმიტრი ყოველ სადილს  
უკან როგორ დასვირნობდა ბასით თავის თოთხმეტ-  
თუთხმეტის წლის ქალთან.

ელენე დიმიტრის ასული არ იყო უმადლესი  
სწავლით აღტყვილი, ან მეცნიერებაში განთქმუ-  
ლი, მაკარა ადამიანი ყოველთვის იმ საზოგადოების  
შესაფერათ უნდა დღესადეს, რომელიშიაც იგი მო-  
ქმედობს. ელენე პირველი იყო, რომელიც გამოვიდა  
საზოგადო ასპარეზზე და თეატრი ფეხზე დააყენა თა-  
ვისი მუდმივი ნიჭიერი თამაშობით და გულითა-

დი თანაგრძნობით. მისი ენერგიული მეცადინეობით შედგა 1873 წ. თბილისში სათეატრო მოთამაშეთა დასი, მანვე შეადგინა პატარა წრე ქალებისა, რომელთაც აზრათ ჰქონდათ გამოცემა ნათარგმნებისა, რომ ქართველი საზოგადოება შეჩვეულიყო კითხვას. პირველი წიგნი დაიბეჭდა ელენეს თაოსნობით 1874 წელს. ამ წიგნს მოჰყვა რამდენსამე წელს შემდეგ მეორე, მესამე და როდესაც მერე ელენე დიმიტრის ასული გათხოვდა და დასახლდა ქუთაისში, იქ ქუთათურ ქალებთან ერთად დაიწყო ქართული ბიბლიოთეკის გამოცემა. ქუთაისშიაც იმავე აზრით ხელმძღვანელობდნენ ქართველი ქალები, შენჩნათ საზოგადოება კითხვას საინტერესო ნათარგმნებით. წელიწადზე მეტი გამოდიოდა ქართული ბიბლიოთეკა და ეს ქალი დაუღალავათ შრომობდა; თარგმნიდა, აჩვენებდა მასალას ვადასათარგმნელათ თვისთვის და სხვებისთვის და თან კორექტურას შეელოდა. შედიოდა სხვა-და-სხვა ოჯახებში, ყველას ახალისებდა სამუშაოთ და ეისაც

მოკითხვის ბარათის მეტი თავის დღეში არა დეწერაზა, იმათაც კი აღებინებდა კალამს ხელში. არაფერი კაი საქმე ისე არ დაიწყებოდა, რომ ელენე მისი სული და გული არ გამხდარიყო. სხვათა შორის ქართულ ვალობასაც ყურადღებას აძლევდა და ცდილობდა ჩვენი ხმები ფორტოპიანოზე გადაედო! ის ყოველი სწავლის მსურველსათვის გზის მაჩვენებელი და წამალისებელი იყო, მისგან ფულის მოგროვება, თეატრის გამართვა ღირებ მოსწავლეთათვის თითქმის მუდმივი მოცუნა იყო. ელენე დიმიტრის ასული სიკვდილამდის იყო თავმჯდომარე თქუთაისის სათავადაზნაურო შკოლის ღირებ მოსწავლეთა კომიტეტისა. ვადაქარბებამა ნუ ჩამოგვართმევთ, თუ ეთქვათ, რომ ბევრნი ახალთაობიდან მისი გამოზღილნი არიან ტკბილი სიტყვით, დარიგებით და ფულის მიწოდებით. სამწუხაროთ დაუბრუნებლმა სიკვდილმა არ დააჯალა ჯერ კიდევ ღონით სასე ქველ-მოამქმედ ქალს, თავისი საუკეთესო წადილები აესრულებინა.

ა.—თ.—წ — ღოსა



ანტონ ლოართქიფანიძის სახსოვრათ



არად მღიბარა ჩვენ შენი სახე გვიდგას თვალიწინა, გულთა მშვეველი, სახე ცოცხალი, სახე გრძნობითა, სიხარულითა ამაყებელი.

\* \*

შენი თვალების, შენი სიცოცლის დასრეტა არ სწამს გულსა, არ სჯერა, თითქო კვლავ გვესმის შენი ტბილი ხმა, თითქო სულს გვიღებენს კვლავ შენი მზერა...

\* \*

ცხოვრებისაგან დაჩაგრულები, ვართ სევდით, ჰმუნვით გარემოცული: მო, გვესალბუნე ჩვეულებრივით, მკვირცხლ-მანხილ სიტყვით დაგვიტყბე სული!

\* \*

ურთერთის მტრობა, შური ზღვით იქცა, გულზე გვედებუა შხამისა ზვირით... მო, გულკეთილო! ტბილი საუბრით შეგვიმსუბუქე ეს მძიმე ტვირთი!..

\* \*

მაგრამ ამათ გემუდარებით, ამათ ევლით პასუხს გულ-მკედარი,

და მიზნეს შენის მღუმარებისას გვიხსნის სულ-მტანჯი შენი სუღარი...

\* \*

მარტო ვერ გაძლე? გსურს—მარად ნახო კაცი, დიდებით ცაში ასული? ნახო მოხუცი სახელოვანი და ღირსეული მისი ასული?..

\* \*

ეს თხოვნა მიინც; გთხოვთ, აკვისრულო. აცნობე მოხუცს, რომ ორგულობა, შური და მტრობა მფეობენ ჩვენში, გაერკელდა სულის დაცემულობა.

\* \*

თხოვე, რომ თვისი სულის სიმტკიცე ვადაგვეცეს მოძმეთ, მოგებეროს ცითა, რომ ერთმანეთი ართუ დაეჩაგროთ, დავიცვათ სიტყვით, საქმით მტკიცითა.

\* \*

სამამევე ერთთ იგი გავსწავლეთ, ქვეყანას თავი ვით შევეყვაროთ, ჩავრულებს ცრემლი ვითა შევაშროთ, სევდით მოცულნი ვით გავებაროთ.

სილოვან

### საყურადღებო ამბები



ერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიუყვება ნება-რთვა იფ-ფასის ბიბლიოთეკის მეორე განყოფილების გახსნისა. ამ ბიბლიოთეკის გახსნას აპირებენ კუიაში, რადგან იქ ბევრი ქართველი ხელოსანია და საჭიროა გაუადვილოთ იმათ წიგნების კითხვა, იმედია, საზოგადოება დახმარებას აღმოუჩინებს, ფულით იქნება, თუ წიგნებით. შემოწირულობა მიიღება როგორც წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, ისეც „კვლის“ რედაქციაში.

\* \*

ფოთი. ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე კენჭისყრით ერთხმად ამოირჩიეს ფოთის ქალაქის თავით.

\* \*

ქ. თელავი. აქ არსდებო პატარა სკენის მოყვარება ამხანაგობა, რომელსაც აზრათ აქეს თვეში ორი წარმოდგენა გამართას: ამხანაგობა ყოველ წარმოდგენისთვის თბილისიდან გამოიწერს ორს არტისტს, ერთს ქალს და ერთს კაცს. იმათი დახმარებით გამართავს წარმოდგენებს. როგორც გვიგებთ, ნება-რთვის მალე მიიღებენ და იქნება მომავალს გიორგობისთვის გამართონ პირველი წარმოდგენა. ამხანაგობის გამგებს ბ-ნ აჯ.—დღეს, უკვე მოუწყვენია თბილისიდან არტისტი ზღუკუ-მესიკვი ერთი წარმოდგენისთვის. ბ-ნ ალექსევე-მესხიევის დახმარებით წარმოდგენენ 1 მოქ. გამეკიდან, 1 მოქ. ჯაჭუკაძის და შქაძის წარმოდგენებს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საუკეთესო არტისტები ყოველთვის მიიღებენ მონაწილეობას (და გველისება ჩვენი საუკეთესო არტისტების თელავის სკენაზე დანახვა).

ამხანაგობის მოწვეულ არტისტს არავითარი ზარალი არ მოუვა, არტისტი პირველათვე მიიღებს თავის შრომის ფასს როგორც გზისათვის ბილეთები (ეტლისა), აგრეთვე თელავში საცხოვრებელი ადგილ-სადგომი არტისტისათვის უკვე დამზადებული აქვთ. ამხანაგობა შემდგარია 7 კაცისაგან ამათ მიემხრობა ორი ქალი (ესენი სკენაზე მოთამაშენი არიან).

სხვათა შორის ამხანაგობას ვანზრახვა აქვს წელიწადში ოთხი წარმოდგენა გადაღვას საქველმოქმედო აზრით, მაგ. თელავის წიგნთ-საკაცისთვის და აქაურ სასწავლებლისათვის, იმედია, პატრიცემული თელავის საზოგადოება დახმარებას აღმოუჩინებს ამ ახლათ დაწყებულს კეთილს საქმეს, როგორც დავგარწმუნა თელავის საზოგადოებამ ბ-ნ სიმონიძის გამოწვევას დროს, ამ ზღვსულს როცა წარმოდგენებს მართავდენ.

\* \*

ს. ნიკოლაძე. აქ დიდი საზოგადოება არ არის, მაკარა ნიგოთილები რომ ძალიან სწავლას მონდომებული არიან, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ იმათ ორის საინისტროს შკოლის სადგომი ააგეს და ორივეში სწავლა გაჩაღებული. ნიგოთილები ამ მხარე დიდი საქებარანი არიან და კიდევ უფრო დიდი ქების ღირსი იქნებიან, თუ ამ ფას-დაუღებელ და საუკეთესო ჭკუის საერაჯიშო განძს სამკითხველოსაც დაუმტებენ, რომლის დაარსება მიუცლებელ საჭიროთაც ითვლება ყველგან. თუმც, ნიგოთილებს დიდი ჭაპან-წყვეტა გადახდათ წელს შკოლების ამენებაზე, მაგრამ მაინც ადულოია მონდომებული და მოხერხებული საზოგადოებისათვის სამკითხველოს გამართვა.

ეს საქმე უმეტეს ნაწილათ იქაურ მასწავლებლებზე: დამოკიდებული, რომელთაც ძალუძთ თავი ისაუღონ, როგორც სხვაგან მოახდინეს მასწავლებლებმა...

ნიგოთის სადგურზე კული წეს შემოუღიათ, ყურნალ-გაზეთების მტაცებლობა ნამეტანა; ერთ-ნაირი საძრახი ქურდობა ესეც არის: იმდენი ღონისძიება ნივთიერათ ყველას აქვს, რომ საკუთრივ გამოიწერონ და იკითხონ. აქ გაზეთისა და ყურნალის მტაცებლებს ორნაირი მანებლობა მოაქვთ: ერთი რომ აფერხებებს ჩვენ ყურნალ-გაზეთების წინსვლელობას და მეორე რომ სხვის საკუთრებასაც ითვისებენ...

\* \*

„კვლის“ რედაქციას მიუყვება კიდევ შემდეგ პირთაგან ევ. ნინოშვილის შემეცირდის აღსაზრდელათ შემოწირულობა: ის. რამიშვილისაგან—2 მან. გ. შარაშიძისაგან—1 მან., ალ. კალანდაძისაგან—1 მან., ანაი კალანდაძისაგან—1 მან.—შედეგს სულ წინანდელთან ერთად 138 მ.

\* \*

თ. დმ. თუმანიშვილმა ამ დღეებში წარუდგინა გორის უფზდის უფროს ბ-ნ გუბერნატორის მოწერილობა, რომ აღმოუჩინოს მას შემწეობა ამხანაგობის შედგენისათვის, საჭირონახლო და ხილის საწყობი შენობის ასაგებათ, აგრეთვე ელექტრორის გასამართავათ, თანხმად უმაღლესათ დამტკიცებულის დადგენილების 1890 წელს 30 მარტს, რომ ფოთიდან საზღვარ-გარეთ იგზავნებოდეს ყოველგვარი ჭირახული დაუზერკოლებლათ და საღვთის მისაცემათ მწარმოებელთათვის.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ გორის მაზრის უფროს კიდევ შედგამა მწარმოებელთა სიის შედგენას, რომელნიც მოისურვებენ მონაწილეობის მიღებას დმ. თუმანიშვილის მიერ შედგენილი პროექტის განხორციელებაში.

ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელთა მოსხენება



ოლესაც მოვიდა ამავეი, სამეურნეო მინისტრი მომადანდებოა, რ. მ კავკასის მხრის ადგილობრივი საქიროებანი თავის უკრით მოიპინონს, მაშინ ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელნი დიდი გულ-მოდღინებით შეუდგენ, ცხადთ გამოერკიეთ თავისი აწინდელი მდგომარეობა და წარედგინათ მინისტრისთვის საზოგადო მასაზრება, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა თვალ-აზრანაურობამ, ქუთაისის სამეურნეო განყოფილებამ და ქუთაისის ქალაქის საბჭომ. აი, რაში მდგომარეობდა საზოგადოთ ეს მოხსენება. უპირველესი ადგილი ეჭირა ამ მოხსენებაში სამეურნეო სასწავლებლების საქიროებას. ამ საგნის შესახებ გუბერნიის მარშალს ჰქონდა წინანდელი გადაწყვეტილება საზნაურო კრებისა, რომელიც მდგომარეობდა მასში, რომ ყოველ მაზრაში დაარსებულიყო თითო დაბალი ხარისხის სამეურნეო სასწავლებელი და ერთიც საშუალო ხარისხისა ქ. ქუთაისში. ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ უქანასკნელი სასწავლებლის დაარსებისათვის მიეჭომა ასიდან ორისა დესტიონა მიწა სალოარის საქალაქო ტყიდან. რადგან უმთავრესი წარმოება დასავლეთის საქართველოსა შეადგენდა სიმიდს, მოხსენებული იყო მინისტრისადმი, რომ ვასაუმჯობესებლათ ამ სიმიდის წარმოებისა, მთავრობას უნდა გამართა რამდენსამე ადგილას სამეურნეო წარმოებისათვის გამოსაცდელი ყანები. აქ ხალხს თავის თვლით უნდა დაენახა, თუ რა და რა გაუმჯობესებელი ღონისძიება უნდა იყოს ნახვარა, რომ მიწამ მოსცეს უფრო ბევრი ნაყოფი და მთქმობა შესაფერათ იქმნეს დავილოდებული, მასთან ყანაც არ მოცდეს. მოხსენებაში ისიც იყო გამოყენილი, რომ ახალ დაარსებულ ყანაში გამართულიყო საწყობი ყოველგვარი ევროპისა და ამერიკის ახალ-მოგონილი სამეურნეო იარაღებისა. ამას ისიც ზედ დაერთო, რომ საზღვარგარეთ ვასატანთ და იქ ვასაყიდათ დაარსებულიყო საეპრო სიმინდის აგენტურა, რომელსაც დაწერილობით უნდა შეეტყობინებოდა ხალხმ თეთათვის დროზე ქუთაისის გუბერნიის მეურნეთათვის ფასები და უმჯობესი პირობები გაყიდვისა, უმჯობესი მასანდა. მოხსენებას ელევატორების გამართვის საქიროებაც არ დაეწეებოდა. ერთი უმთავრესი ელევატორა უნდა აგებულიყო ფოთში და იქ ყოფილიყო საერთო დასაყირთი ბოლოზი. მაგრამ ადგილობრივ მწარმოებლების ხელის ვასამართავთ ამ დიდი ელევატორის საკებათ უნდა გამართულიყო სხვადასხვა

რკინის სადგურებზე მორჩილი ელევატორები, ანუ დიდი სასიმიდეები და აქ უნდა მიცემოდა ყოველს ქირანახულის მებატრანეს, ვინც კი თავის ქირანახულის მოიტანდა, საგარო სესხი. ამისთანა აღავებთ იყო დანიშნული შემდეგი სადგურები: ახალ-სენაკი, ამა-შა, სამტრედია, ნიგოთი, კობიტნარი და რიონი.


ბ-ნ მინისტრს თავისი ყურადღება სხვათაშორის იმაზედაც მიაქცევინეს, თუ რა დაუჯერებელი და აუტანელი გადასატანი ხარჯი, ესე იგი ძვირი ტარითი, არსებობდა რკინის გზებზე შესახებ ქირანახულისა. არა ნაკლები საყურადღებო აზრი იყო გამოთქმული მოხსენებაში შესახებ რკინის გზის ხიდების მოწყობილობისა. ქირანახულის გადატანის მისამარჯებლათ რკინის ხიდებს უნდა გაეთებოდათ აგრეთვე საურმე ბოგირები. სამეურნეო შკოლებს შორის განსაკუთრებით ღირსია მოსახსენებლათ ისიც, რომ ქუთაისში უნდა დაარსებულიყო ლენის დასაყენებელი შკოლა, რომელთანაც მთავრობას ვანზრახვა აქვს ფილოქსერის განყოფილების დაარსებაც. ერთ უმთავრესს მთელი გუბერნიის საქიროებათ მოხსენებად დაასახელო იაფი და ადვილთ ასაღები სესხი, რომ დამყოფილებულიყო მრავალგვარი ეკონომიური მოთხარეილება მწარმოებელთა. დღეს ამგვარი სესხის მიწოდებლათ დასახელებულია სახელმწიფო ბანკი, რომელსაც მიეცა წელს სულ ახალი წესდება სესხის ვაცემის ვასაადილეულათ, არა თუ მარტო დიდი ვაჭრებისთვის, როგორც აქამომდე იყო, არამედ ყოველგვარ მწარმოელ კაცთათვის, ვისაც თავის წარმოებისათვის ეჭირებოდა, თუნდ ხუთი მანეთიც. ამ საზნაურის ვასაწევთ ქუთაისის გუბერნიის მკაცრებთათვის, მოხსენების აზრით, უნდა დაარსდეს ქუთაისში თვით განყოფილება სახელმწიფო ბანკისა, რადგან უბრალო აგენტურა ევრას ვააწყობს აუარება სესხის მისაღებთ, მით უფრო, რომ თვით აგენტურა არ აძლევს სესხს, არამედ ყოველი მთხარეილი უნდა ვაგზანოს მის მისაღებთ ტულისში, ანუ ბათუმში, სადაც დღეს არსებობს სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

ყველაზე შესანიშნავი კი ამ შემთხვევაში ის არის, რომ თვით სახელმწიფო ბანკს თავის ახალის წესდების თანახმად დასახელებული აქვს ზემოხსენებულ საქიროებათა დასაკმაყოფილებლათ ერაბა, რომლის დახმარებით და შუამავლობით უნდა მიაშველას საქირო სესხი მთელ მწარმოებელთა გუნდს. თვით ის მრავალგვარი მიუტკლებელი საქიროებანი, რომელნიც აღნიშნული იყვენ მოხსენებაში, ბ-ნ მინისტრს ღიდ საკონენებელი ჩაავდებდა და ევროც ვანცხადებდა ისე მტკიცეთ იმეს და საქიროებათა

დასაკმაყოფილებლათ, რომ მოხსენებასავე არ ეწე-  
ნებია ცხადით ის წყარო, რომლითაც დაკმაყოფილ-  
დებოდა აღძრული კითხვები, განსაკუთრებით შკო-  
ლების დაარსება, სესხის გადავიღება და სახელმწი-  
ფო ბანკის ინტერესების უზრუნველ ყოფა. ეს ერთ-  
თათ-ერთი საიმედო და ნამდვილი წყარო აღმოჩნდა  
ბ-ნ მინისტრის თვალში ერობის დაარსება თითოეულ  
მასწავლებელს ქალაქების თვით-მართებლობასავე. რო-  
დესაც მინისტრმა მიიხსინა სრულათ ეს მოხსენება,  
წარმოთქვა: „დიდი ყურადღებით მოვისმინე თქვენი  
მოხსენება და დიდად სასიამოვნოთ მიმაჩნია, რომ  
ასე დაკვირვებით გამოგორკვევიათ ამ ქვეყნის სამე-  
ურნეო მიუცილებელი მოთხოვნილებები. მე არა-

ეთარი საფუძველი არა მაქვს, არ შევიწყნარო ყველა  
თქვენ მიერ დასახელებული საჭიროებანი და არც  
ერთი იმისთანა რამე არაის თქვენ მოხსენებაში, რომ  
მისი დაკმაყოფილება და განზორციელება მიუცი-  
ლებელ საჭიროებათ არ მიმაჩნდესო. თქვენი მოხ-  
სენების პირობაზეა ვერცელოა. რაც შეეხება საყო-  
რიც ჩემ სამინისტროს, იმედი გქონდეთ, რომ მე  
იმას შეგისრულებთ სულ მოკლე დროში, ხოლო  
რაც შეეხება გარეშე ჩემის დამოკიდებულების, სხვა  
სამინისტროებსაც, მე ვიშუამდგომლებ, რომ იმა-  
თაც არ დააკვირან თქვენის სამართლიანის თა-  
ვის დაკმაყოფილებაო.“

ქეთათური




### ხმა ქალაქიდან



მ დიდად პატივს ვცემ ჩვენი ქართულს მწე-  
როლობას. მაგრამ ეს არის გულის საკლავი,  
რომ ამ წამათ ჩვენი ერთათ-ერთი გავებით  
გადამეტებით იღანძვება და ეს სენი ლამის ქართულ  
ქურნალებსაც გადაედას. ამ ათის წლის წინათ  
უზრალა ხალხი ძალიან ცოტათ იცნობდა აკაცის და  
ილიას; მაგრამ მაღლობა ღმერთს, დღეს იმ გონება-  
დახშულმა ხალხმა, აკაცის და ილიას ნაწარმოები  
წერილები შეიგნო, თუ რა პატივსაცემი და საჭი-  
რო პირნი არიან ჩვენის დავარდნილის სამშობლოს-  
თვის. თუმცა პირადად ბევრი ახლაც არ იცნობს  
მათ, მაგრამ დიდად პატივსაცემენ მათ ნაწარმოებსა  
და ლიტერატურას. ამ წამათ ისე დამყარებული  
არიან ყოველსავე მწერლობის ნაწარმოებზე, რომ  
დიდი სიხარულით ეგებებიან ხოლმე ახლათ დაბე-  
დილ წერილებს რომლიასმე მწერლისასი. ბევრს ამ  
საწყალ ხალხთაგანს ფულიც არა აქვს, რომ შეიძი-  
ნოს რომელიმე წიგნი, მაგრამ ეალს იღებს, ყიდუ-  
ლობს წიგნს და გულმოდგინეთ იწყებს კითხვას,  
ჩათა მათგან ამოიკითხოს რაიმე გონების შესაშავი;  
ჩვენი მწერლები კი, იმის მაგიერათ რომ უფრო  
ახლო გააცნონ დაბალს ხალხს ჩვენი ლიტერატურა,  
მოყოლიან ლანძღვა-გინებებს და დედა-მიწასთან გა-  
სწორებას. ამისგამო ისეთაც გზა-დაბნეულს ხალხს

უფრო გზა-კეალი გებენეა. დიდაც მართებულათ  
დაწერილი კრატკა ჩვენც გონებას გაგვიღვიძებს.  
შეუმცდარი ღმერთთა, არც ის გინდა, რომ ჩვენი მეთა-  
რები კერპებათ, ან ღმერთებათ მოგვაჩვენონ; მაგრამ  
მათზე ცილისწამება, ლანძღვა და გინება პირადი  
უკმაყოფილებით არაფერი საკადრისია. მაგითი ჩვე-  
ნი მწერლები და მეთაურები ჩვენს თვალში პატი-  
ვისცემას კარგვენ და მკითხველს გულს გეკრუებენ  
ბოლო აღარ ეღება ამ უწესო ცილის-წამებას.  
ვიმეორებ კიდევ, რომ ხალხი ყიდულობს ქურნალ-  
გაზთებს და წიგნებს იმიტომ კი არა, მწერლების  
გაუთავებელი შურისძიება იკითხოს; არამეთ მათგან  
რაიმე საინტერესო მოისმინოს. მე იმას როდი ვამბობ,  
რომ დაბალი ხალხი კრტიკას უტარ არ უფდება, არა,  
მე მხოლოთ იმ აზრის ვარ, რომ ყველა კრტიკას  
თავის სიმატევე უნდა მიუძღოდეს, რომ ხალხმა  
მარტივთა გარკვიოს, რომელია მართალი და რო-  
მელი მტუქვანი, თვარა ტყუილ-უბრალოთ სიტყუე-  
ბის რახა-რუხი მდაბალ ხალხს სურვილს უკარგავს  
ლიტერატურის მიყოლისას. ამის გამო სჯობია, მწე-  
რლებმა დაანებონ თავი უკადრის შურის-ძიებას  
და ერთი აზრით გამსუვალულთა შუერთონ ისეთი სასა-  
რგებლო რამე, რომელიც ოდნავ თვალახილულს  
ხალხს გაუკვრავს ეკლიანს გზას და დანახვებს ქე-  
შმარიტს გზა-ტყევილს, რომ იმათაც გაიგონ ცო-  
ტადღენი რამე ამ წუთისმოფლისა.

ხელისანი ლ.



### ძიება ალექსანდრე მაკედონელის სასაუბლოსი



რია ათას-ოთასის წლის წინეთ ინდოეთში,  
რომ ალექსანდრე მაკედონელი გავლავჭრა,  
მას შემდეგ იგი მოკვდა მესობატრამიაში.

სად დაიშრბა ის ნამდვილათ არაჟინ იცის, მხოლოთ  
როგორც მოგვითხრობს ძველი ლათინებისა და ბე-  
რძების ისტორიკოსები: ალექსანდრე მაკედონელს  
სიციდილის დროს უთქვამს, რომ ჩემი გვაში ვივი-  
ტში წაიღეთ და ჩუთობტერ ამმონის სალოკამში

დამარხეთო. იუპიტერ ამჟონის სალოცავი ჰგებდა ალექსანდრიაში. მოკვდა თუ არა ალექსანდრე მაკედონელი, გააკეთეს ერთი შეწვენიერი ოქროს კუბო, ჩაასვენეს შ-გ. წაიღეს და დამასკოს გზით მიიტანეს ალექსანდრიაშიო.

პირველ საუკუნეში ჩენის წელთ-აღრიცხვისა, რომის იმპერატორმა ოქტავემ ოქროს კუბო ბროლის კუბოზე შეცვალა და ალექსანდრე მაკედონელს შეწვენიერი გვირგვინი გაუკეთათ. სამწუხაროთ დროთა ვითარებით და ისტორიული ქართველის არეუ-ღარევის გამო ამ შესანიშნავი კაცის გემო, მისი საუცხოო იარაღითურთ ბროლის კუბოსთან ერთათ საღდაც მიიმაღა. ამ რამადენიმე (50 წელი) წლის წინეთ, როცა სიძველის (ანტიკების) ისტორიული საბუთების ძიებამ მიიქცია საზოგადო ყურადღება და ამ რივი საქმის მეცნიერებამ წინ წადგა ფეხ, ყველაზე უფრო ღიდი ყურადღებით დაიწყეს ალექსანდრე მაკედონელის ნაშთის ძებნა, სხვათა შორის ყველაზე უფრო იშრომა ალექსანდრე მაკედონელის სასაფლაოს ძებნაში ერთმა ბერძენმა, რომელიც ვერ მიიკვლია ბევრა ისეთი მღვიმეები, რომელიც ჯერ გამოკვლეული არ იყო და ერთ ამ მღვიმეებთაგანში წაატყდა ერთს ღიღს გზას. კარგა ძალ სიარულს შემდეგ, მიადგა ერთს კარს, კარის გულბა ვერ მიახებრბა, მხოლოთ კარის ნახერტებდინ კ შეგანია, რომ შუგნით ერთი ბროლის კუბოსავით რაღაც იყო და ბევრი წიგნებისა და სხვა იარაღების მსგავსი ნივთებიც ნახა. ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. შემდეგ ამისა 1878 წელს ბ-ნმა მასფერომ, მოინდომა ბერძნის ნაბიერი კარი მიეკვლია, მაგრამ ის კარები ველარ მიაგნო, ღღეს გამოჩინილს ძველებების (ანტიკის) მეცნიერს, მაკსედონეგეტს ხელახლა მოუწადინებია და უკვე დღეგამომა ამ საფლავის გამოძიებას და ღიღ იმდღს იძღვევა, რომ აღმოაჩინოსო, ჰყერენ აქაური თათრის ვახუთებიო

იანე რაჭველი

იმურგეთის საქალემო შკოლის წარსული და მომავალი.



უთხმეტ წელზე მეტია, რაც ეს სასწავლებელი საზოგადო ხარჯით დაარსებულია. დღემდის თუმცა სასწავლებლის შენახვას ღიდი ხარჯი და დაეღარაბა დაჭრებია, მაგრამ ჩენი საზოგადოება ამაზე უკან დაწეულა. ეს სასწავლებელი პირველ ათ წელიწადს ერთ კლასიანი იყო, ხოლო ეს ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ის ორ-კლასიანთ გადაეკეთეთ მართალია უწინ და უწინ, დაარსებიდან 1885 წლამდე ვერ ყოფილა სასურველ ნიადაგზე სასწავლებლის საქმე, როგორც მატერიალური მხრით, ისე კარგი სასწავლებლის შეენით, მაგრამ დაღა თუ არა მასწავლებლათ ქ-ნი ქიქოძისა, 1885 — 1888 წლებში, კარგი სასწავლებლის გამო სწავლაც ყველას შეუუყარდა და სასწავლებლის საქმეც წინ წაიდა. მოსწავლეთა რიცხვმა ერთი-ორათ მიიმატა და სასწავლებლის სახლიც საკუთრათ ავაგეთ. ამას შემდეგ ქიქოძის ქმარი ოზურგეთიდან სხვა ადგილზე გადაიყვანეს, რომელსაც ჩენი სკოლის მასწავლებელი თან გაჰყვა, მაგრამ თითონ ქ-ნ ქიქოძისამ ისეთი მასწავლებელი ქალი გამოგვიგზავნა, რომ ოზურგეთის საზოგადოებისთვის და იმ დროის პატარა მოსწავლე ქალებისთვის დიდხანს დაუყოყნარი იქნება.

როგორც ზემოთ მოვახსენეთ, ქ-ნ ქიქოძის რჩევით და წარმოდგენით ჩენ სასწავლებელში დაინიშნა ელ. ჭიქინაძის ქალი, ხოლო მეორე მასწავლებლათ, რადგან სასწავლებელი ამ წელში იქნა ორ-კლასიანთ გადაეკეთებული, ქ-ნი ა. კ. — ნისა გამოგვიგზავნეს. ელ. ჭიქინაძის ქალის სამავალითა მასწავლებლობამ და მუყაითობამ, სასწავლებლის ორ-კლასიანთ გადაეკეთებამ და საკუთარი შკოლის სახლის აგებამ ეს კლასი მთელ საზოგადოებას შეაყვარა და ყველა მის წარმატებას ცდილობდა: ყველა მოეუბრებებმა (უკანასკნელ ნოქრამდე) თავის სურვილით სასწავლებლის შესანახავათ, თავის საეპტრო მოწმობების დროს ერთთ /გადასახლლათ ეალათ დაიღო — მანეთი და მეტ-ნაკლები (ვაკრობის მოწმობების და გვარათ), ყველა ოზურგეთში მცხოვრებმა სავალდებულოთ გაინადეს კომლზე მანეთი ცდილათ სასწავლებლისთვის. ჩენში ,,მეეტლეთა ამხანაგობამას\* დიდი სიმოყენებით აღუთქვა წელიწადში 120 მანეთი და ამაღეს კიდევ დაარსებიდან მოკიდებული. იმართებოდა „ლატარეია-აღლერები\*, კონცერტი-წარმოდგენები და სხ... რისგანაც ჩენ სკოლას 1500 მანეთი თავისუფალი ფული ჰქონდა შენახული.


1892/3 სასწავლო წლებში ელ. ჭიქინაძის ქალმა მასწავლებლობას თავი დაანება, რომელიც უფროსს მასწავლებლათ ითვლებოდა. ჩენ გეან-

დოდა მის ადგილზე მოგვეყვია მ. ს. ბერიძის ქალი და ღირეკტიაც სრული თანახმა იყო, მაგრამ მაშინდელმა მაზრის უფროსმა, როკელიც შკოლის კონტეტის თამებდომარეთ ირიცხებოდა, კომიტეტის დაუკითხავათ. (უფროს მასწავლებლათ დანიშნა აივ. შკოლის უმცროსი მასწავლებელი ქალი ა. კ — ნინსა, ხოლო მეორე მასწავლებელის ადგილზე (უმცროსის) მ. ბერიძის ქალი არ წამოვიდა და მის მაგიერ ღირეკტიამ ლ. ტ — ეის ქალი დანიშნა, ასე რომ ჩვენი შკოლის ბავშვები უსწავლელათ ჩრებოდენ, რადგან ბავშვებს კარგათ არ ესმოდათ რასაც ასწავლიდენ. ამავთ რიკაც დარწმუნდა საზოგადოება, რომ ბავშვებს რაც იცის, ისიც ავიწყდება და მიშველება უნდაო, ბგერი ეცადა, ბგერი თხოვნები გაიგზავნა პოპეჩიტელ-ღირეკტორებთან, მაგრამ ამოთი. „ახლა გვიანდაო“, იყო პასუხი.

ზოგიერთმა ბავშვებიც გამოიყვინა და სამრეკლო საქალებო შკოლაში მიიბარეს, მაგრამ შეიტყო თუ არა მაშინდელმა მაზრის უფროსმა, დაიბარა ბავშვების შშობლები და გამოუცხადა: „ყმაწვილები ისევე ისე ამ შკოლაში დატოვეთო...“ წელს მარია-მობისთევში ამ შკოლის მზრუნველები გამოცვალეს სასწავლებელს დაჭირდა შესამე სამშობლო ენის და მეოთხე ხელ-საქმის მასწავლებლის მიმა-

ტება, რის გამოც სასწავლებელს ხარჯი ერთი-ორათ მ ემატა, ზემონასწენები შენასული ფული დაილია და შემოსავალმაც იკლო, მაგრამ ბ.ბ. კ. ზ. აღში-ბიას ლ. ა. ი. გარმრეკტოვის მეთაურობით და შკოლის პოპეჩიტოლების დახმარებით საიმართა 25 — 26 სეკტემბერს „ლატარეია-აღვკარი“ გაიდანაც წმინდა შემოსავალი ნაღდი ფული 500 მანეთზე მეტი დარჩა შკოლას. ჩვენ გულ-ახლით ვიტყვი, რომ ყოველთვის დიდ სიუხვეს იხენს ჩვენი პატარა ოზურგეთი ყველა სწავლა-განათლების საქმეში, მაგრამ დღეს, ასეთი ვაგულგრილებულები, ასეთი ფულის სიცივროვის დროსაც თუ ამოდენ ფულს მიაწვდიდენ და სასწავლებლის კომიტეტს, ეს კი აღარ შეგვანა. მაგრამ ახლა კი მჯერა, ახლა კი მრწამს, რომ ოზურგეთი არა თუ ამ სასწავლებლის, არამედ ოთხ-კლასიანი საქალებო პროგიმნაზიის ხარჯსაც იყისრებს... ამით ის მინდა ვთქვა, რომ დღეს ოზურგეთის მკვიდრი დარწმუნებულთა, რომ ახალი მაზრის უფროსის და მისი თანაშემწის წყალობით, თუ ისინი მოინდომებენ, ამ სასწავლებლის ბედი-ბალი შეიკლება და ისევე ჩვეულებრივათ — სასურველ გზაზე იქნება დაყენებული და ხარჯსაც აღარ დაზოგავს.

მეთაულყურე



### წმინდა შუშანიკი, დედოფალი რინისა

**წ**აქართველოს ისტორიაში დედა-კაცის მოღვაწეობას უწარჩინებულესი ადგილი უჭირავს. ეს გარემოება უტყუარს საბუთის გვაძლევს იმისას, რომ ქართველთ ტომში თავიდანვე დედა-კაცი არ ყოფილა დაჩაგრული. ამით აიხსნება მისი დიდი ზეგავლენა საქართველოს ისტორიულს მხარეებზე. როგორც სარწმუნოებრივს, ისე საპოლიტიკო ასპარეზზე დედა-კაცის მოღვაწეობას ჩაუდგამს მტკიცე საფუძველი და ჩაუყრია შეურყეველი ბურჯები ერის თვით-არსებობის დასაცველათ. იმითივე აიხსნება წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგება და მისი გავლენით საქართველოს ერის მოინათვლა. მსოფლიო ისტორიამ მეორე მაგალითი არ იცის, რომ ერთს უტყობ ქვეყნით მოსულს სუსტს მხევალს, რომელიც ისტორიაში ასურეთელ ტყვეთ არის ცნობილი, იმდენი ზნეობრივი გავლენა მოცხდნოს შორაყულს უტყობ ტომის ერზე, რომ მთელი ერი მისი სამეფო სახლობიანა ერთთ კეშმარიტს


გზაზე დაეყენებოს და შეექმნას ახალი ხანა ერის ისტორიული ცხოვრებისა. თუ უზუნაესს მადლს მხედველობაში არ მივიღებთ, მსოფლიო მიზეზი ამისი ის უნდა ყოფილიყო, რომ ერის საზოგადო წყობილებას დაუხსოვრის დროიდან მომკილს ჩვეულებას შეუშვეია დედა-კაცთა სტესი წარჩინებული უფლებით. ამ უფლებას დედა-კაცი უნდა შეექმნა მამა-კაცთან სწორი, როგორც ოჯახში, ისე სამოქალაქო ასპარეზზე. მართლაც თუ რომ ჩვენს ხანგრძლივს ისტორიას თვალს გადავავლებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში უაღრესი ხანები ჩვენის ისტორიულის ცხოვრების დედა-კაცის მარჯვენით დამდგარა და მისი ზნეობრივი ძლიერებით გამტკიცებულა. გვიჩსენათ ქრისტიანობის შემოღება მფოთხე საუკუნეში წმინდა ნინოს მიერ, კერპთაყვანის-მცემლობის საბოლოოთ დამარცხება და მისი ძლივე წმინდა შუშანიკის წამებით, საპოლიტიკო ძლიერების და საქართველოს თვით-არსი განათლების უმაღლესს წერტილამდე აყვინა მეთორმეტე საუკუნის გასულს თამარ-მეფის მიერ და საქართველოს ერის ხსნა, მისი გა-



დარჩენა მამადიანობის დევნულებისაგან წმინდა ქეთევან დედოფლის წამებით.

მეექვსე საუკუნეში საშინლათ გამწვევდა ბრძოლა ქრისტიანობასა და კერპთაყვანისმცემლობას

შორის. ამ დროს ჯერ კიდევ არეინ იცოდა, რომლის სარწმუნოებას აღირჩევდა საბოლოოთ საქართველო. დიდი განხეთქილება ჩამოეარდა იმ ჭაბათ ერში: შეიღო მამას ებრძოდა, ნათესაეი ნათესაეს,



წმინდა შუშანიკი, დედოფალი რანისა

ერისთავი ერისთავს, მთავარი მეფეს. საქართველო იყო ეროვნული გმირი, რომ თავისი ს-სლით გადწყვიტა, რომელი სარწმუნოებას უნდა შეჩინოვდა მთელი საქართველო. აი, ამდროს დაიწყო და ეს გმირი და იგი იყო დედა-კაცი შუშანიკი.

ფუფუნებაში აზრდობდა ასულმა დიდა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანისამ განაშადა თავი მოწამობის გვირგვინის დასადგმელათ. იმ დროს სომხისა და საქართველოს ერთობიდან მართმადიდებელნი იყვნენ და ჰქონდათ მკიდრო ერთობა. შუშანიკი იყო მეფედან რანის მთავრის ვასქენისა. ვასქენის ქრისტიანი იყო, მაგრამ პატე მოყვარებობამ სძლია მს გულში ქრისტიანულს სარწმუნოებას; იმას უნდოდა ქართლის ტახტიც მიეღო, წავიდა სპარსეთის მეფის კარზე და მიიტკა ცეცხლის მსახურებისაკენ. სპარსეთის მეფემ მიცა მას ცოლათ თავისი ქალი და თან მზითვით ქართლს გამგებობა ჩააბარა. კერპთაყვანისმცემლობას წესათ ჰქონდა მრავალ-ცოლიანობა. როდესაც ვასქენ დაბრუნდა თავის სახატო ქალაქში კორატეში და შუშანიკს რომ ეს ამბავი შეიტყო წინათ მიგზავნილი მოციქულის პირით, მაშინვე დაეცა პირქვე დიდი მწუხარე, შეჰქნა გოდება, სახე დიკაწრა და მოიხდა თავიდან სამთავრო გვირგვინი, შემდეგ გამოვიდა თავის სახლიდან შეიკლემითურთ—სამი ვაჟით და ერთი ქალით—შვილად კარის ეკლესიაში, აღაპყრო ხელი ღვთისმშობლის წინაშე და თხოვა ძალი მოთმინებისა. ხანგრძლივს ლოკვას შემდეგ იქვე ეკლესიის გვერდით აგებულს სენაკში დადგა. ვასქენმა რომ ევლარ შეირაგა თავისი მეფულე, გარისხდა; პირველათ თვითონ სცემა, რამდენიმე კბილი ჩააგდებინა, დაჰკრა მუჭი სახეზე და საცერის რკოლით თვალი დაუსივა. მერე ბძანა გააფორებულმა მთავარმა, შეეცრა წმინდა შუშანიკისთვის ხელ-ფეხი ზორკილით, კისერზე აუჭვი შეებათ და შეეგდოთ საპყრობელში. ექვსი წელი ითმინა წმინდა მოწამე საშინელი ტანჯვა ამ საპყრობელში, საცა იგი სახარებით ხელში ემეღებოდა ღმერთს ქრისტიანობის დაქვისათვის. ერთი დიდი თანაგრძნობით შეჰყურებდა დედოფლის მოღვაწეობას. როდესაც საპყრობელში მიჰყვებოდა, სამღვდელთაგან, მრავალი მოხუცი და ჩელო, ქალი და კაცი გოდებოთ მიდევდენ უკან მეფის ჩაძალს. ვასქენი გარისხდა ასეთი თანაგრძნობის გამოცხადებით და უბძანა თავის ცხენოსან ჯარს ხალხი გაეფანტა. ქართლის ქათალიკოსი სამოელ, ეპისკოპოსი იოანე და მთელი ქართლის ქრისტიანები თვალსრფელიანი შეტყვეროდენ ამ საყვირელის დედაკაცის მხნეობას. მისი ტანჯვით მტკიცდებოდა ერთი ქრისტეს სარწმუნოებაზე.

შუშანიკს დაუსივდა საპყრობელში ხორცი და დეხეია მატლი. მას სწორათ ნახულადა იაკობ ლეღელი, მოძღვარი მისი, და უტირდა დედოფლის სულის სიმტკიცე. ამ მისმა მოძღვარმა დატოვა წმინდა შუშანიკის ცხოვრება აწერილი. იგი სწორათ აუწყებდა დედოფალს, წმ. შუშანიკს, ქრისტიანეთა მწუხარებას და თანაგრძნობას. სამოელ ქათალიკოსი მისივე ხელით უზახენიდა წერილებს და ამხნევებდა დედოფალს ქრისტიანული მოღვაწეობისათვის. რაკა წმ. შუშანიკის აღსასრულის ღღემ მოაწია, სამოელ ქათალიკოსი, იოანე ეპისკოპოსი და მათთან მრავალი თავდი, აზნაური, სევდის წულდები და უბრალო ხალხი წაეიღენ წმინდა გვამის პატეცხატეით და სატირლათ.

ამ სახით დედოფალმა შუშანიკმა თავისი ტანჯვით დაიხსნა განსაცდელისაგან მთელი ქართლ-კახეთის ქრისტიანობა. საქართველოს ერთი ისე აღვლევებული იყო მისი მოწამობით, რომ მისი სიყვდილის შემდეგ მთელი ქართლ-კახეთი განემზადა სალომქროთ და ბაკური მეფის თაოსნობით შეეჩინა დრო, როცა ვასქენ ბანაკათ იყო ჩამომხტარი ანასკერტის მდინარის პირით, მტკერის მახლობლათ, ანაზდით დაესხა თავზე, შეიპყრო ვასქენ და მეფემ იგი ძელზე ჩამოკიდა. ასეთმა მოქმედებამ დიდ აღტაცებას მიცა ქართლის ერთი და საბოლოოთ იძლია კერპთაყვანისმცემლობა. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო დაახლოებით ხუთას-ორმოცდაათ-წლებში ქრისტეს შემდეგ.

როდესაც ხელადღენ სამეფო ოჯახიდან გამოსულს ქალს, რომელმაც ამდენი ტანჯვა გადაიტანა სარწმუნოების გულისთვის, ყველა სარწმუნოებაზე განმტკიცდებოდა და ყოველი მზათ იყო თავი განეწირა, ოღონდ ქრისტეს სარწმუნოება დამკვიდრებულყო.

წმ. შუშანიკის გვამი პირველათ დაკრძალული იყო კორატეში. იქ მისი სასაფლაოზე ეპისკოპოსის წირვა-ლოცვა და საუკუნო მოხსენება იყო განწესებული ქართულ ენაზე. შემდეგ, როცა სომეხნი და ქართველნი გაიყარენ, სომეხებმა დაეაღიწყეს, რომ შუშანიკის სასაფლაოზე სომეხთათუ უნდა იყოსო წირვა-ლოცვა დადგენილი. ამისგანო ქათალიკოსმა სვიმონ პეტრემ (კურიონმა) წამოიღო წმინდა გვამი და დაკრძალა ტფილისის მეტეხის ტაძარში<sup>\*)</sup>.

გ. წერეთელი.

\*) ამ სტატეიის წყაროთ გვერდინა უსტატეისის ისტორია, წმ. შუშანიკის ცხოვრება იაკობ მღვდლის, მისივე მოძღვრის, ვასუშტის ისტორია და ბერძნის ისტორიული კრებული.

# პ ა რ ტ ა ხ ი

(მოხსრობა ვე ნინოშვილისა).

შემდეგ \*)

V



ავიდა შემოდკამის ორი მესამედი. სოფელმა ქირანახული მიაღაკა და გაჩა ქარწილები; ისე კვირა-უქმე დღე არ გაეიღოდა, რომ ქარწილი არ მოხზდარიყო. შემოდგომა, ქირანახულის დალაგებას შემდეგ, საუკეთესოა დროა სოფელელისთვის, ვისაც ჯვარის დაწერა და ქარწილი კი ესა-ქიროება: პური, ლენო, თავისუფალი დროა თუ აქვს, სწორეთ მაშინ აქვს გლეხ-კაცს. ვასათხვარი ქალებიც მოუთმენლათ მოელოდებიან ამ დროს. ზალიკი ნარიშვილი დღითი-დღე მოელოდა თავის სიძისგან ამხას, მაგრამ დღეები, კვირები გადიოდა და ჯერ არც ჯერან და არც მისგან გამოგზავნილი კაცი არსად ჩანდა.

ბოლოს ზალიკამ დაქარგვა მოთმინება და თითონ გაუგზავნა მოციქული ჯერანს:

— მიგაყვს ჩემი ქალი თუ არა? \*ქალი დანიშნული მყავს, იგია; და აწი ჭკუაში რომ მომიყვა, ჯვარს დაეწერე ზეთ-ო იყო ჯერანისაგან პასუხი. ზალიკის მეუღლე დადიოდა მკითხავენთან. მაგრამ არც ერთი მკითხავე სასუვეშოს არას ეუბნებოდა. მეტადნე ერთმა მკითხავემ ძლიერ გაუტეხა გული სუანას:

— ტყუილია, არ შეირთავს“-ო, მაგრამ თან ამასაც უმატებდა ის მკითხავე:

— „მაგორაში მეორე ნიშანი მოდის და იგი კი უტყუარია, გვირგვინი მოყობა ამ მეორეს“-ო. მაგრამ ჯერ არსად ჩანდა არც ეს მეორე. ამ ვარემოებამ ბოლოს და ბოლოს მეტათ დააღონა ზალიკის ოჯახს. ლიხას კი ერთი თითქო კიდევ უხაროდა მისი გათხოვების დაგვიანება: მას ვარკვეით ჩაბეჭდოდა ხსენაში ჯერანის დახრილი წარბები და მწყრომარე თვალები; კარგათ იცოდა ისიც, მისმა საქმრომ იმიტომ დახარა წარბები, იმიტომ მიიღო მწყრომარე გამომეტყველება, რომ ის, ლიხა, არ მოწონდა. ამასთან, თითონ ლიხასაც არ მოწონდა ჯერან, მისი შეხედულებით, ძლიერ უეშხო და უსიამოვნო თვალადობის კაცი იყო მისი საქმრო. მაგრამ მეორე მხრით, ლიხას გულს უკლაუდა, რომ ის დანიშნას შემდეგ დატოვა ქმარმა. რას იტყოდა მაზე ამას შემდეგ მისი მეზობლები! ჯერე

ცოტაოდენი დააგვიანდა, რომ დანიშნა, მას შემდეგ ლიხას ვათხოვებას და ზოგიერთმა ენაპირტალა მეზობლის ქალმა ათას გვარი გულის მომშხამველი ქორი კი გაავარეს ლიხას და მის მშობლებს. როცა ნამდვილს გაიკებდენ—დატოვაო, მაშინ რაღას იზამდენ! „რეიხა დეებდაე მე ამისთანა! ჩემ სიცოცხლეში სადარდელათ უნდა დეუარე ჩემ დედ-მამას! რა უჭირდა არ გეეჩინე ლმერთს!“—ფიქრობდა ლიხა. ამგვარი მუღმიერ მწარე ფიქრებისაგან მისი საესე პირისახე საკმაოთ დადნა. სუსანაი წუწუნებდა: „დადნა ციკაი, თლათ დადნა“-ო, მაგრამ რა უნდა ექნა იმაზე მეტი, რომ მკითხავის სიტყვებით აწუეეებდა.

ქალიჯან ძლიერ წუხდა, რომ მისი დაწყებული საქმე ასე ცუდათ ბოლოეებოდა. მაგრამ რა ექნა? ჯერანმა ის დაითხოვა:—„ჩემს ოჯახში ფეხი არ დაბაჯო, რალამე ასე მიღალატე“-ო. დიდი საყვედური შეხედა ქალიჯანს ზალიკას ოჯახიდანაც.

საკმაოთ დაიტანჯენ ჯერანის დედა და დაე: ჯერანმა ლიხას დანიშნას შემდეგ რომ შინ დაბრუნდა, დედას და დას ასე უთხრა: „ზლაპარში გამოგონა დედა, დი მიღალატეთ, მარა თუ მართალი იყო, დღემდე არ ეიცოდე და დღეს კი ჩემი თვალით ენახე“-ო.

— რაეა, მე გიღალატე!—ძლიეს მოიბრუნა ენა გულმოწყვეტილმა ხეარაშემე—შეილი რომ ამის მწამობს, სხვაი რაღას მეტყვის!.. მიღალატეო!.. ხეარაშემე დაწყო ტირილი.

— თუ არ გიღალატებია, წადი, კარქა შეხედე შენ სარძლოს და ქე მიხთები! უთხრა დედას ჯერანმა მწარეთ.

— კი, გიღალატეთ და ქამაიცი ევიღეთ შენ ღალატში! მწარეთეე უპასუხა ძმას ელისაბედა.

— ელისაბედაე, შენ მაინც დამეთხუე, აღარ გამავონო შენი უხამიანი ენა, თუჩა ან თავს მეეიკლავ და ან შენ მოგკლავ! უთხრა გაცეცხლებულმა ჯერანმა.

— კაია, საცოლო ქე დანიშნე და აწი რალათ გინდა ან დაი და ან დედა! დაგვბოცე! ამაზე უკეთეს მაინც არ მოეელოდიო შენგან!

ამ მწარე სიტყვებმა ისე გავცოდა ჯერან, რომ რაც კი შეხედა სიახლოვეს, ჭურჭელი თუ სხვა, სულ დაღეწა. მხოლოთ დას კი არ შეეხო ხელით. ეს რჯულათ ჰქონდა—„ეინც დედას, დას და ცოლს გალახავს, იგი კაცათ არ მიხსენებია“-ო.

ორი დღის განმავლობაში ამას შემდეგ ჯერანისას არც სადელი და არც ვახშიმი აღარ გაეკეთებულა. ნახევარი თვე ისე გავიდა, რომ ჯერანს ხმა არ გაუცოა დედის და დისთვის. მართალია, ის სრულიათ არ იყო დარწმუნებული თითქო დედას და დას მისთვის ეღალატებოდა და განზრახ გამოენახათ მისთვის

\*) იხილე „ეკვლი“ № 41.

ისეთი ქალი, რომელიც ჯერანის ფიქრით, თითქმის მახინჯი იყო. მაგრამ გულმოსულობის დროს ის აღარ არჩევდა, მართალია, თუ მტყუანია, რაც მოაღვა ენაზე გულ-დათოთქულ ადამიანს, ის წამოისროლა. ნახევარ თვეს შემდეგ, როცა ჯერანი დედას და დას შეუტოვდა, გაათხოილა ეს უკანასკნელები—იმ ქალზე აღარაფერი გამახსენიათ, თვარა მიგიტყობთ ამ ოჯახს და დევიკარქები“-ო.


ამას შემდეგ ხვარაზე და ელისაბედ მართლდაც კრინტს ვერ ძრავდენ ჯერანთან ამ უკანასკნელის საცოდაოზე, თუმცაღა კი შიშით გული უსკდებოდათ,—თუ ლიზა არ შეირთო, ზალიკაი მოკლავს ჯერანსო. ამიტომ ჩუბათ ეხვეწებოდენ ყველა თვის მოკეთეს—უფრივთ ჯერანს შეირთოს ლიზაო. მაგრამ ჯერანი ყველას ასეთ პასუხს აძლევდა: „მაცათ, თუ ღმერთი გწამს, ჩვილები ერთი კაცი, იგია; და სულს ქე მინც ნულარ შემოწუხებთ სულ ამის ლაპარაკით“-ო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯერანს ლიზა არ უნდოდა ცოლათ, მაგრამ დანიშნულ ქალიდან ხელის აღებაც უპირობათ და უსინდისობათ მიაჩნდა. ვინ იცის, რამდენ ხანს ვაგრძელებოდა ასეთი მდგომარეობა ჯერანს და ზალიკას შორის, რომ ერთ მოულოდნელ ვარემოებას არ აეჩქარებოდა ამ საქმის გადაწყვეტა:

ზალიკა საჩივილის მგზობათ ესახლა ერთი ობოლი გლეხი, ნიკო, მოახლიშვილი. ლიზა და ნიკო, როგორც ახლო მეზობლები და ერთი წლოვანებისა ბავშობისას ერთათ დადიოდენ ფიჩხზე, ძროხების მოსაღწათ, ხბოების სამწყვსათ, სათამაშოთ და სხვაგან. უყვარდათ კიდევ ბავშური სიყვარულით ერთმანეთი. როცა ელაზარდენ, როგორც ეს ჩვეულებათ არის, ზიდი შეეკნათ ერთმანეთისა, წინანდლათ მარტო წასვლა- მოსვლა აღარ შეეძლოთ ერთმანეთთან. მაგრამ სიკვარული და თანაგ-

რძობა ერთმანეთისადმი კი არ გამქარაიყო ამთ გულში. ლიზას ისე ძმასავით უყვარდა ნიკო, ნიკო კი ფიქრობდა ლიზას ცოლათ შერთვას. მაგრამ ჯეროჯახი ჰქონდა ვაუწყობელი, ამიტომ ადვიანებდა და ვერ უშებლდა ზალიკას: ამასობაში, ის იყო, ჯერანმა მოასწრო ლიზას დანიშნვა, საწყალ ნიკოს მთელი ღამე არ უძინია, როცა გაიგო—ლიზა დანიშნესო. შემდეგ, როცა ჯერანმა ლიზას წაყვანა დაავიანა, ნიკოს იმედი მოეცა, „აღარ შეირთავ“-ო და მიუგზავნა ზალიკას შუამავალი—ლიზა მომეცი ცოლათო. სუსანამ სიხარულით მიიღო ნიკოს მოციქული და თანხმობა განაცხადა ნიკოს წინადადებაზე; ლიზასაც გულმა სიხარულით დაუწყო ცემა. მაგრამ პირმართალი ზალიკა სულ სხევაწიართ უყურებდა საქმეს: „მე კაცს, მიძახიან, პირი მაქ. იმ კაცმა ჩემი ქალი დანიშნა და ახლა სხვაზე რაეა გეუთხოვო ასე ადვილათ“-ო, უთხრა მან ნიკოს მოციქულს. აქ ჯერანსაც მოუვიდა ამბავი—ზალიკაი სხვაზე ათხოვს ლიზასო.—რაეა, ჩემი ნიშანი ხელზე აქ ქალს და ახლა სხვაზე ათხოვენ! არ ნდომებია თვეი ოცტახლი და იგია! ტყუობა, კაცთ არ მგუდებენ! ამის მეტი სირცხვილის ქაპა რაღა იქნება, ჩემ დანიშნულ ქალს სხვაი შეირთავს!“ თქვა ჯერანმა და აფრინა მოციქული ზალიკასთან—ამაღამ დღეს ჯვარი უნდა დაეწერო შენ ქალზეო. სიხარულით აღტაცებულმა ზალიკამ დანიშნულ დროს გამოუწყო თავის ქალს შეძღვებისადგევართ მზითე“-ო.

გიორგობისთვის წყნარი ღღე იყო. ლიზას ისე ჩარჩა ხსენებაში დაუფიწყართ ის სედიანი წყნარი ღღე. მთავრობა მაყურებმა მშობლის სახლიდან წაიყვანეს ლიზა ეკლესიაზე, სადაც ღღელმა ქრისტიანული წესით შეაუღლა ჯერანთან.

(შემდეგ იქნება)



ორიენტილისტათ მე-X საუკუნითა შორისო კონერესი ქ. უენეციაში დასასრული \*)

**მ**ამერი (თავმჯდომარე). ენა, ანტროპოლოგიური წყობალება და იდეა ანუ დედა-აზრი—აი, უპირველესი ნიშნები ხალხის ჩამომავლობის გასაგებათ. კავსკასიაში კი არც ერთი ეს მხარე არ არის გამოჩევილი.

თ. ვიზემსკიმ წაიკითხა ჩაის შესახებ. ჩაის სამშობლო, როგორც ვიცით, ჩინეთია და განსაკუთრებით ჩრდილოეთის ნაწილი. ბევრ ალავას შინჯავს ჩაის მოყვანა, მაგალითათ, კავკასიაშიაც; მაგრამ ამ შრომამ უნაკლოთა ჩაიარა, ნამდვილი ჩინური ჩაი არასად არ მოვიდა. ჩინეთის უპირველესი სასმელი ჩაი არის. ის ჩაის ხმარობს საუხმემდი. საუხმემზე, სადილობამდი, სადილზე, ნასადილევს, სალამოს და ვახშმათ. კარგს თვითონ ხარჯავს, ცუდს ჩვენ გეზგზავნის, კარგი ჩაი აღრე ხდება, სამ თევზე მტეს არ ინახება. ჩინეთში სვამენ ჩაის უმჯობრათ და ურძეთათ.

\*) იხილეთ „კავკალი“ № 44.

ჩინელის აზრით როგორ შეიძლება ამებოთ ჩაის გაფუჭება. ერთმა მანდარინმა მითხრა: აი, თქვენ კა-სურათ სვამთ ჩაის, მე ენახე შანხაიში ერთი ზღვის გზღმელი (ევროპელის ზღვის-გაღმელს უწოდებენ), რომელიც მხეურათ სვამდა, მაქრით და რძით ათხუპნეს შეწერილი სასმელიო.

ჩაის ბუჩქს ინახვენ დაბლათ, როგორც კი წა-მოიზღება, მაშინვე გასხლადენ და დადაბლებენ. ხშირათ ხუთი გრადუსი (5°) სიცივეა, მაგრამ ჩაის არ წყენს. ევროპაში ჩაი შემოდის ორი გზით: მონ-გოლით და რუსეთით. მონგოლიაში ჩაის უმატე-ვენ რძეს და ცხერის ქონს და ისე სმენ. ჩაი აქ ფულათაც იხმარება, მაკ. იკითხეთ, რა ღირს ეს და ეს საქონელი. ისინი მოგიგებენ ამდენი და ამდენი ჯამი ჩაიო. ძრიელ ძვირფას საქონლისათვის რუსის მანეთს ღებულობენ, დანარჩენისათვის კი ჯამ ჩაის ანგარიშობენ. როგორ ვაჩნდა ჩაი? ჩინეთის სამლე-დლოება ამბობს, რომ ჩაის სმა თეთი ღმერთმა ას-წაელა ხალხსო. ერთხელ ხელმოვიყენ მოცისა ხმა ეს-და-ეს მცენარე მოხარშე და დლოეო, იძინაც მაში-ნვე გააკეთა და ნახა, რომ კარგი იყო, მას შემდეგ გავრცელდა ჩაის ხმარებაო.

**ვაშპურა** (თავშე) ჩაის გავრცელებერს შესახებ ჩვენ უფრო სარწმუნო წყარო გვაქვს. ისტორია ამ ნაი-რათ მოგვითარობს: მეორე საუკუნეში ქრისტეს შემ-დეგ ორი ჩინელი გაემგზავრენ დასავლეთ ჩინეთის-საკენ. ისინი ავიდენ ჰიზალაის მთახე და იქ წააწყ-დენ ჩაის მცენარეს და გამოიტანეს ჩინეთში. 1830 წელს ინგლისის მთავრობამ ინდოეთიდან ვაგზაენა კაცები ჩინეთში ჩაის ხელობას შესასწავლათ და ინ-დოეთში შესამუშაველათ. ეს საქმე რიგიანათ წაი-და, მაკ. ვასულ წელს ინგლისელებმა ინდოეთიდან ორი მილიონი გირვანქა ჩაი გაღმორტანეს და ამით დიდ მოცილობას უწყედენ ჩინეთს, აქ ჩაის მოყვანა გაცილებით ძვირათ ჯდება, ვინემ ინდოეთში, სადაც ინგლისელებმა სხვა-და-სხვა მანქანა შეიტანეს და ერთობ ჩაის მოყვანის საემე წინ წასწიეს. ოთხი თვის განმავლობაში მე ინდოეთში ჩაით და ცხერის ქონით ვიკვებებოდი და ეს ჩინებულათ ეპოვე.

**თ. ვაიშჰჰიკი.** ეს ისტორიული ცნობა დასაჯე-რებელი არ არის, იმიტომ რომ რატომ ჰიზალადან უნდა წამოეღოთ ჩაის მცენარე, მაშინ როდესაც ჩინეთშიაც ბევრი იყო.

ერთმა დამუბატ, რომ იაპონიაში ისეა გავრცე ღებული ჩაი, როგორც ჩინეთში და უფრო სუნენ-ლოეანიც არისო.

**ბ.** მეგავარიანმა წაიკითხა თავისი თხზულება ამ სათაურით: „ნაშონი ყიდეით და მოტაცებით ცოლის შერთვისა ძველ სომენთა შორის (Vestiges du mu-

riage par achat et par rapt chez les anciens Arméniens“). ეს ვახლავს დისერტაცია. რისთვის-საც ლოზანის უნივერსიტეტმა აეტარს იურისპრუ-დენციის დოქტორობა მიანიჭე წელს. ბ.ნ მეგავარიან-მა კრებას გადაცა მხოლოთ თავის ორას გვერდიანი წიგნის „რეზიუმე“, რასაც ჩვენ აქ მოკლეთ აღე-ნიშნათ:

სომხური კლასიკური მწერლობა ჩვენი აზრის გამოსარკვევათ არავითარ მასალას არ გვაძლევს, ამისათვის უნდა მივეუბრუნდეთ თანამედროვე ეტრო-გრაფებს, რომელთა რიცხვი სამოკამდეა. პირველათ პოლადინაცმა (მოსკოვის ინსტიტუტის პროფესორია) დაიწყო ამ კითხვის გამოძიება, მაგრამ კითხვა კით-ხვად დარჩა, გადაჭრით არა უთქვამს რა. ევროპიულ მწერლობაში ამის შესახებ ეერას შეხედებით და არც გასაკვირალია. ევროპიელები ჩამოდიან ჩვენში ცხოვრების შესასწავლათ, მაგრამ ხალხის ენა, ისტო-რია და ზნე-ჩვეულებების არაფერი ვაგებეთ. ამიტომ თუ დაწერენ რასმე, ისიც სანახევრათ მათი ფან-ტაზიის ნაყოფია. მე მხოლოთ მოვიხსენებ კვალეფ-სკის და ხანანაშვილის გამოკვლევებს.

თუმცა ახლა სომხებში არ არსებობს ცო-ლის შერთვა ყიდეით ან მოტაცებით, მაგრამ იმდე-ნი ჩვეულებები დარჩენილა ამის შესახებ, რომ შე-უძლებელია უყურადღებოთ დაიტოვოს. სიძე აძლევს სხვა და-სხვა სარწმუნოებას ქალის შშობლებს და ამით ერთიმე ყიდელობას თავის საცოლენს. ეს საჩუქრე-ბი უბრუნდება სიძეს მზითვის ფორმით. ერაიანის გუბერნიაში ასე მიულოცავენ ხოლმე სასიძოს: შე-ნი ვაჭრობა ბედნიერი იყოსო. ეს იმ დროინდელი ნაშთია, როცა ქალი ვახაყიდ საქონლათ იყო აღსა-არებული. ამ აზრს ხატვენ სომხური ანდაზები და სახალხო სიმღერები: მაკ. როცა ნეფე-დლოფალი ერთით არიან ასე მღერაინ: დედა მოატყუოლეს ერთი ნახვეი დაბასის ჩითით, დები მოატყუოლეს ერთი მუტა ყვავილებით, მამა მოატყუოლეს მამუდის ტანი-სამოსით. მამაც მოატყუოლეს და დედა ატირეს-მეორე სიმღერა: ქისას სრულიად დაცალიერებენ და ქალიშვილს დიდ-დედას დააცილებენ. ვანის ახ-ლოს ქალის სახელით დამღერაინ: მე ძვირფასი ვარ ჩემი შშობლებისათვის და ვიგადარას არ მიმიყიდიან. ქალის მოტაცების შესახებ შემდეგ ნაშთს ვაყო-ლობთ: მოსე ქორენელის თქმით ერთ მიფეს საცო-ლე მოეტაცა. ახალ სასიძოს უთუოთ ხანჯალი უნ-და ეკილოს ქამარზე და ულოცვენ ამ ნაირათ: შენი ხანჯალი ღმერთმა მახელილი ქქნასო, ეს ამტკი-ცებს, რომ ხშირათ იარაღის ხმარებაც საჭირო ყო-ფილა. როცა პატარმარი საქმროს მეგობარებს მოკე-თ ამდროს ქალის მეგობარებ-ნაცობები უხედებიან

გზაზე და არ უშვებენ, ვანის ახლოს სასიძო ამ მოწინააღმდეგეებს აძლევს ლენოს, არაუს და სხვა სასმელებს, მაშინ ისინიც თავს ანებებენ და ქეიფს მორთვენ.

ინლა-ვეროპოლიო ოჯახი რომ რიგიანათ იყოს შესწავლული, საჭიროა შესწავლულ იქმნას სომხების, ქართველების და აზიის სხვა ხალხთა ოჯახის წყობილება, დაასრულა ბ-ნ მეგავარიანმა.

გამჭირა. აზიის ყველა ხალხს არ ჰქონდა ჩვეულებათ ქალის მოტაცება, მაგ. თათრებს და ავღანელებს.

გაჰიდ ბეი. ოტომანის და სხვა მამულიანთ სახელმწიფოში ქალს არასდროს მზითვენ არ აძლევენ, პირ-იქით სიძეს მოაქვს ქალის მშობლებთან საჩუქრები. არაბეთში, ისლამის მიღებამდე, როცა ქალი დინადებოდა ხოცავდნენ, ან ტროოდნენ. ეს ჩვენი აღარ არის, გაიზდება და სხვა წაიყვანსო.

ამით დასრულდა ეტროგრაფიულ სექციის შრომა, სხვა სექციიდან ჩვენ აქ მოვიხსენებთ, ლეიდენის პროფესორის, შლეგელის მოხსენებას ჩინეთის დედაკაცის შესახებ. ავტორს საფუძვლიანათ აქვს შესწავლილი ჩინეთი და თავის მოხსენებაში სრულებით ახალი ცნობები შეუტანია. შლეგელის აზრით ზნეობრივი და სოციალური მდგომარეობით ჩინელი დედაკაცი გაცილებით მაღლა დგას, ვინემ ევროპიელი. ისტორიის წინადაღრმაც დედა-კაცი მონა არ ყოფილა. ძველი-ძველი ისტორიული საბუთი, ოდების ოდები (le livre des odes), გვიხატავს ქალს თავისუფალ მიმოხერაში, სიყვარულში და მოქმედებაში. ერთ მაშინდელ სიმღერაში ქალი ეუბნება კაცს: „მე შემიძლია მიყვარდე, ბ-ნო, თუმ, მაგრამ ხალხის ჭორებს ეერიდები“. ჩინეთის იმპერიაში პირველ სამი ათასი წლის განმავლობაში დედაკაცის გავლენა უფრო ძლიერი იყო, ვინემ მამაკაცისა. თავადის ქალები ისე თავ-აშვებულნი იყვენ, რომ მათი შერთვა ეძნელებოდათ. ჩინელი უფრო

სიამოვნებით დაიწვავდა თავის ორ თესს, ვინემ თავადის ქალის ქმრათ გახდებოდა. მართლაც ეს მანდილოსნები მთელ თავის დროს ყბედობაში და აქეთ-იქით სიარულში ატარებდნენ. ჩქარა ამათ დაბალ წოდების ქალებმაც წაბადეს. ამ უთავბოლო „ვიზიტების“ წინააღმდეგ მათე საუკუნეში შემოიღეს ბარბაროსული ჩვეულება — ქალების დაბორკვა. 1664 წ. იმპერატორმა მოსპო ეს ჩვეულება. მაგრამ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია და იძულებული შეიქმნა ოთხ წელს შემდეგ ისევ შემოეღო. მიუხედავათ ამისა დედაკაცი იქ თავისუფალია, ცოლ-ქმარს შორის ჩხუბი და უკმაყოფილება, რაც ასე ზშირია ევროპაში, ჩინეთში იშვიათია. ზშირათ ქმარია ცოლის მონა და არა ცოლი ქმრის. ერთი ჩინეთის ისტორიკოსი ამბობს: „დედაკაცის უნდა გვიზოდეს სამხელ: პირველათ, როცა ის ახალ-გაზდა ქალი-შვილია, მეორათ, როცა ოჯახის დედა და მესამეთ, არცა მოხუცი ოხერია“. სწავლა-განათლების მხრით ჩინელი დედა-კაცი უფრო თავისუფალია, ვინემ ევროპიელი. მას შეუძლია, დაუბრკოლებლიე შეისწავლოს ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, ამისათვის იქ სწავლული, შესანიშნავი ქალები ურჩივია.

ჩინელი დედა-კაცი თავის ბედით კმაყოფილია, თავის თავს ბედნიერათ თვლის. ქვრივი ქალის გათხოვება იშვიათია. ერთი სიტყვით პროფესორ შლეგელს მაღალი აზრი შეუდგენია ჩინელ დედაკაცების შესახებ.

რაც შეეხება მასინძლობას ეწვეულებმა არა ჩვეულებრივი გულ-უხევიბა გამოიჩინეს. ამოდენა ხალხი ოთხჯელ კერძო პირებმა დაბატყეს ვახშმით და სამხელ კანტონმა.

კონგრესი დაახურა 31 აგვისტოს. შემდეგი კონგრესი შეიყრება პარიჟში (1897 წ.)

ქ. შუაგუ 3-15 აგვისტოე.

ნ. შ.

### სასკუმირა გასართობი.

ეს ერთიც და კბარა!



ატონს, ანტონს ვახლოვართ ოც-და-ათი ცხენოსანით!.. სალამ აღუიქუმ მისისხან-ფენდლი!.. ვის აუნთია და აუწვამს აგრე თქვენი ტინი, რომ უნებურათ გეჩვენებათ: სხვის თავზე

ქუდი იწვისო? ვინ თქვენ და ვინ ამჩატება?! თქვენ რომელსაც სიბრძნე სოლომონისა, მეცნიერება პიკარისა ცოდნა ლოკმანისა და მოთმინება იობისა, ერთ ბუნებათ შეგიხორცებვისთ, როგორ გვაღრუბათ იმ კაცის აყოლა, რომლისაც უნიკობა, უგნურება, უმეცრება და ბოროტ-განზრახულობა, სიტყვისაგერ თქვენისა, საკვეყნოთ დამტკიცებულია?! აჲ თვითთავე ბძანებთ თქვენს თავზე, რომ უფრო ხმელი ხის მოდრეკა შეიძლება, ვიდრე ჩემი გასწორებაო? და „ღმერთმა ნუ მკაცობსო იქამდის, რომ

გაუხდებოდა როდისმე აკაკო? ამას შემდეგ როგორღა გეკარებოდა, რომ თავს უტოლოდ და ურისნდობით? მეჩე რა დროს? როდესაც თურმე უთქვენოდაც „შურიანი გული უსქედნა და საფლავში უნდა ჩაიციღეს დღეს თუ ხვალ!“. თქვენი რისხვა ხომ ზედმეტი იყო! და თქვენო დიდობა, რათ ულაღატთ თქვენს დიდულოვნობას და არ შეიბრალებთ მომაკლავთ?—მე კი, უნდა გამოგეტყუდეთ, თქვენი მრისხანე ეპისტოლე რომ წაგიკითხე, შემებრადა და მივაშურე: „რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენი დასამარბავია-მეთქი—განვიძრახე გუნებაში.—რომ შევედო მის თაბაში, მართლა გაშვართული დამიხდა საჩუკელზე... მაგრამ... მაგრამ... წარმოიდგინეთ ჩემი ვაოცება! ზელში ვაზეთი ეჭირა, თქვენს ვანაჩენს კითხულობდა და... იცინოდა!.. ვიფიქრე: ეე! საწყალი მშუპარებას ვადაურეგია-მეთქი!.. მივედო სიფრთხილით, მაგრამ რა ბძანებდა! კარგათ იყო, მზიარულათ და გულთათც იცინოდა!.. გამოვიკრდა მისი ეჭრობა, მისი უგრძობობობა, ბეგერი რამ ეუსაყვედურე და ბოლოს, აი, რაგვარი საუბარი გავმართეთ ერთმანეთთან: „როგორ გაბედე ბატონი ანტონის გარისხებაში“ ვკითხე.—მე ბატონო? როდის? თვითონ ინება, უმრთეზოთ ჩემი დედამისთან გასწორება და მიბძანა „შენ ამისთანა ხარ და ამისთანაო! მეც მოვასხენე: კი, ბატონო! მართლსა ბძანებთ: სწორეთ მაგისთანებები ვახლავართ ჩვენ და თქვენი კი სულ წინააღმდეგება ბძანდებოთა!..—მიბასუხა.

— კი, მაგრამ შენი კილო დაცინებთ იყო!..

— ნუ თუ?.. მე მხოლოდ მათი სიტყვები ვიმიერე და ვანა ისინი ეკარებენ, რომ თავის დიდებულ თავს დაცინონ?.. აი, ახლაც ამ უკანასკნელ წერილში რას ბძანებენ თავის თავზე: აკაკის გულს უკლავს, რომ იმ გარყენილობის წინააღმდეგ, რომელსაც ქადაგებდენ და თესადენ ახალი ზნეობის მოძღვრანი, მიიღეს ზომიერება და ტრაპეზიდა საცეცხური არ მოაპარეინეს, რატომ გულზედა დაკრეფილნი არ იდებოთ, ეინც ფუღიცი, ჯანიც, ცოდნაც, ზნეობრივი წამებაც შესწირეთ საზოგადო საქმეს და არ მიეცით აფთრის პირს შთასანთქმელათ საზოგადო განძიო... ახლა ბატონო, შეადარეთ ეს იმ ჩემ დამოწმებას!—მეც ამას არ ვამბობ, რომ ყოველიფერი შეწირეს და აღარც ფული დაუზოგინათ, ოღონდ წინააღმდეგათ კი ემოქმედნათ! თვითონვე რომ ამტკიცებს, მე რაღა დამტკიცებას მიხოვს?

— ეგ, ეტქვათ, აკრე, მაგრამ რათა თქვი, რომ ანტონი ამბობს ამასა და იმას? აბა, სად გავაონილა ანტონის ტრაპეზობა?

— თუ ეგ ის ანტონია, ბაქია, რომ დაარქვეს,

რაცა ეტქვი ყოველიფერი დამტკიცებულა და ცხადი, მაგისეც საქება-სადიდებელათ და თუ სხვა ანტონია, მაგას რა ენადლებმა? და არ რათ ესარჩლება ბაქია ანტონს?

— შენ ერთი უწმინდური სიტყვა გიხმარია ანდაწაში „სკორე“ და ეს სიტყვაც სად გისწავლია თუ, არ ბაქეში მენახირეებისაგან?

— ეკლესიაში ვისწავლე და არ ვიცოდა, თუ ეკლესიის სიტყვა იყო! იმ სიტყვას ახსენებენ: წინასწარმეტყველები, მოციქულები, მოწამეები, მახარებლები და სხვანი... იმ სიტყვებს მღვდელმთარეები იმეორებენ, ერთ და მღვდელი. მაგალითათ, იერემია წინასწარმეტყველი ამბობს:

ეთარცა სკორენი ქვეყნისა იყვენ 25—33, ისაია. 36—12 „რათა სკამონ სკორე მათი“ ფსალ. 82—10 „მოიხსენე იგინი ენდროს შინა და იქმნეს იგინი, ეთარცა სკორე ქვეყნისა“ სკორესა ზედა დავადგინო შენ“ და სხ. და სხ. აი, ბატონო, ესგან ვისწავლე ეს სიტყვა და სად? და თუ ბ-ნი ანტონი ამით არ კარულობდა, არ ვიცოდი, დღეიდან ეი-გულისხმებთ.

სამღეოთა წერილსნუ ეპოტინები, შენ უმეცარი კაცი ხარ, და როგორც ანტონ ამტკიცებს, სიტყუე ამოვიწერია; „შურმან სახლისა შენისამან შეშქამა მეო“. აბა, ეს თურმე, რომ არსად სწერია, შენ საიდან ამოგიწერია?—სოლომონის სიბრძნეში ყოფილა თურმე ასე: „შური სიხრენისა (სიხრენი შენ სახლები გვანებია) დააბნელებს კეთილსა!..

აბა, ვადაიკითხე დავითნი, ფსლ. 9—აქ ვახლავს „შურმან სახლისა შენისამან შეშქამა მეო“; მაგრამ არ ვიცოდი, თუ ანტონს დავითნი ეთაკლებოდა საღეთო წერილათ!.. და არ იცოდა!.. მე ბატონო ყოველიფერი ეეთანხმები ბატონ ანტონს და თუ არ დამიჯერებს თავდებათაც ჩხარის წმინდა გიორგის მღვდელს დაუუყურებ. მარლექსობაზეც ზელს ავიღებ, დღე, იმან წერო ჩახრებაული:

„თამარ დახნელი“  
 აზრები ბნელი,  
 სიტყვები ძნელი,  
 ჭკუა ქვესკნელი,  
 ტრაპეზი ზესკნელი,  
 გვირგვინი სამკელი,  
 ზურგებზე წყველი და სხვანი..

მე ჩემ გულს ვაგებრავ და მესტიერულს არ მოვიწლი, აი, ამისთანებებსა: ეს მიხორს! ამით დააბოლოვა ჩემთან საუბარი და ერთი მესტიერული შერიც ვადომეცა, რომელსაც ეუგზანეი თქვენს დიდებულობას, როგორც მინუსს მისი უნიკობისას.

### პ ა მ ე ს უ ლ ა

(მესტიურული)

**პ**იიბი! პიპო! პიპუ!  
 პამპულა რომ შეკახმულა  
 ჯილითა და ჯინჯილითა,  
 ყურა რაშზე გაღმჯდარა  
 მრავალეებს ჩინჩილითა;  
 ხელში ხმალი აუღია,  
 მოქედლილი ღინჯილითა;  
 ნახირ-ეგზირ-ფარეშები  
 თან მოადევნე კინჯილითა,  
 ევენებს გააქვს ქლარა-ქლურკი,  
 თითქოს ბობლან-წინწილითა;  
 ჯამათი დაუხედემა  
 ღრეკითა და სიცილითა:  
 პამპულ საით მიბრძანდებით?  
 რას შიირაჟმევე დილ-დილითა?  
 უნდა ლხინში დავეწვიოთ,  
 დაგხედებით წიწილითა;  
 გოჭის კულს ზედ-დაგითავეთ,  
 ღვინოს გასმევეთ ჭინჯილითა.  
 პიიბუ! პიპო! პიპუ!

—  
 პამპულ ბძანებს: რა დროსია?  
 რასი ჭამა? რასი სმავა?  
 ღმერთმა მტერსაც ააშოროს  
 ის, რაც მე დღეს მესისმარო.  
 კორტოხიდან ვაღმოვიდა,  
 იმერელი ვინმე ყმაო,  
 მე რომ ვაღმით შეუტეი,  
 გამომიხტა გამოღმავო!..  
 მომადხა: „სიდან, სადა?!.  
 რას ფაუხურობ, ჩემო ძმავა?  
 ჩემზე მეტს რომ იწველიდეს,  
 მე დამწიხლოს იმ ფურქოა;  
 შერ რისთვისაც ხვანცარიკობ,  
 კი, შეგატყვეო, არ ვართ ბრძოა,  
 ეისგანა ხარ მოვზაწერილი  
 ყურ-მოჭრილი შინა-ყმაო?  
 უუუ ადგე უკადრისი  
 ხრიკები და გულისთქმავო!..  
 მეტს ნუ ეძებ! არ დაჰკარგო,  
 ხელში რაც გაქვს, ეგ ლუქმავო!..  
 ეს რომ მითხრა, გამეღვიძა,  
 ამბუტვოდა თაუზე თმაო,  
 ენა მუცლად ჩამეარღნოდა,

გამეცმიდა შიშით ხმაო!..  
 პიიბუ! პიპო! პიპუ!..

შეებრალო ჯამათსა,  
 დაბლა თავი დახარაო,  
 უთხრა: პამპულ! კინჯილ-პამპულ!  
 ეგრე ვინ ვაგაეხარაო?  
 სიტყვა-პასუხს ისე ხმარობ,  
 როგორც კაი ჯაფარაო.  
 შენი ჭკუის წაღმა ხნული  
 უკუღმა ვინ დაბარაო?  
 პურის ნაკელად მოგემკია  
 ლელალუნტა, ფამფარო!  
 დალოცვილო, ვინ არ იცის,  
 რაცა ხარ და რაც არაო?  
 კინჯილ-პამპულ! პამპულ კინჯილ!  
 მთელი ქვეყნის მასხარაო!..  
 პიიბუ! პიპო! პიპუ!

აგა?

მ. დაქტორ. გამომცემელი ან. თ. — წერეთლის.

## განსხვავებანი

მომეტებული ნაწილა წრეუდელი ხოლგრიანების გამხდარან ავთ მტკერის წყლის სმის გამო; ამისათვის ქალაქის თამგებობა საყოველთაოთ აცხადებს, რომ ხალხმა თავი დაანებოს მის მტკერის წყლის სმას და სხვა საჭიროებისთვის მის ხმარებას, შით უმეტეს, რომ ქალაქის საბჭოს ექიმმა რეზტამერმა აღმოაჩინა მტკერის წყალში ხოლგერის ბაცილები.

### დამზღავენი საზოგადოება

## ი ა კ ო რ კ ი (ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებულა 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებით სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაიისა და უძარვის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგებანში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისთვის, და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კლოუბენლის საშხლო, თუ არა თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზარეციისაგან, რომელიც დგას ელიამინოვის ქუჩაზე № 2.